საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1722-02
05/07/2024

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კინომცოდნეობის მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,, ა “ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის და 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების”, რექტორის 2024 წლის 30 აპრილის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კინომცოდნეობის მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ “ N980-02 ბრძანების, აკადემიური საბჭოს 2024 წლის 30 აპრილის N4 და 2024 წლის 1 ივლისის N7 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2024 წლის 1 აგვისტოს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კინომცოდნეობის მიმართულებით პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი და კინომცოდნეობის მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული იქნას თეო ხატიაშვილი.

2.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

3.კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირისათვის და შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისათვის: ბიბლიოთეკა, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახური, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახური, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი